ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა
კავშირი „ინტელექტი“.

№21 / 2017

წარმატებული ბენეფიციარები

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისთვის ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მცირე ბიზნესის დაფინანსების საგრანტო პროგრამა. პროექტის ფარგლებში ამ ეტაპისთვის 14 ბიზნესი დაფინანსდა. განაცხადების მიღება კვლავ გრძელდება.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე

მისამართი: ბათუმი, ზიროსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.ge
ვებგვერდი: intellect.ge

უცხო ენების სწავლების ცენტრი MY KEY

„ინტელექტის“ მიერ გაცემული ბიზნესგრანტით ძმებმა – ზურა და მალხაზ ანთაძეებმა უცხო ენების სწავლების ცენტრი MY KEY გახსნეს.

ბიჭებს სასწავლებლის გახსნის იდეა ჯერ კიდევ საქართველოში დაბრუნებამდე გაუჩნდათ. მათ განათლება თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ მალათიაში მიიღეს, ზურამ საინჟინრო სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო მალხაზმა – საერთაშორისო ურთიერთობები.

„ოთხი თვეა რაც „ინტელექტის“ პროექტის ფარგლებში დაფინანსება მივიღეთ და გავხსენით ინგლისური და თურქული ენების სწავლების ცენტრი. ახლა 35 მოსწავლე გვყავს, მათ შორის 10 უცხოელია. დღითიდღე ეს რიცხვი მატულობს. მსმენელები ჯგუფებად არიან დაყოფილი, თითოეულ ჯგუფს კვირაში სამი ლექცია აქვს. სწავლის გადასახადი ინდივიდუალური მომზადებისას 150 ლარია, ხოლო მათთვის, ვისაც ჯგუფური მუშაობა უფრო მოსწონს, გადასახადი 80 ლარია. სწავლის საფასური უცხოელი მსმენელებისთვის უფრო მაღალია: ჯგუფური მეცადინეობა – 100 ლარი, ინდივიდუალური კი – 200 ლარი ღირს.

მალე რუსული ენის დამატებასაც ვგეგმავთ. თურქულ ენაში შევიმუშავეთ სწავლების ჩვენეული პროგრამები, გვაქვს სამთვიანი და 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობის სასწავლო კურსები.

ჯერჯერობით მხოლოდ ორი საკლასო ოთახი გვაქვს, ამ ეტაპისთვის ნამდვილად საკმარისია. სამომავლოდ ვგეგმავთ ჩვენი სასწავლებლის უფრო დიდი მასშტაბის საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრად გადაქცევას, სადაც უცხო ენების შესახებ კვლევებიც ჩატარდება და უფრო მეტი ენის შესწავლა იქნება შესაძლებელი.

საქართველოში საკუთარი ბიზნესი რომ შექმნა, ძალიან დიდი ძალისხმევა გჭირდება. თურქეთში კი ბიზნესის დაწყებაში სახელმწიფო გეხმარება, თუ ფინანსურად ვერ ახერხებს, ამას სხვა გზით მაინც აკეთებს. მიუხედავად ამისა, ყველა შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტს ვურჩევთ, დაბრუნდნენ და აქ შეეცადონ თავიანთი იდეის განხორციელებას.

უცხო ენების სწავლების ცენტრი MY KEY ბათუმში, ზურაბ გორგილაძის №23-ში მდებარეობს.

პურ-ფუნთუშეულის საცხობი

„ინტელექტისგან“ გრანტი 50 წლის ნუგზარ შაინიძემაც მიიღო და პურ-ფუნთუშეულის საცხობი გახსნა.

ის ეკომიგრანტია. რამდენიმე წლის წინ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფაჩხაში ცხოვრობდა, მაგრამ მეწყრულმა პროცესმა მისი საკარმიდამო დააზიანა და საცხოვრებელი სახლიც ნახევრად დაინგრა. ნუგზარი იძულებული გახდა საცხოვრებელი ადგილი სხვაგან მოეძებნა, ამიტომ ოჯახთან ერთად ბათუმში გადმოვიდა.

„მე არამარტო ეკომიგრანტი, არამედ შრომითი მიგრანტიც ვარ. ქალაქში გადმოსვლა და ქირით ცხოვრება ძალიან რთული აღმოჩნდა. ჩემი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამუშაოდ უცხოეთში დავდიოდი. ცოტა თანხა რომ შევაგროვე, პურის საცხობი აპარატი ვიქირავე, ვნახე გასაქირავებელი ფართობიც და დავიწყე პურის ცხობა და წარმოება.

ერთ დღესაც „ინტელექტიდან“ დამიკავშირდნენ და პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში მოქმედი პროგრამები გამაცნეს. მცირე ბიზნესგრანტით დავინტერესდი და დავიწყე ფიქრი ჩემი ბიზნესის გაფართოებაზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემი ნაქირავები ფართობი გაიყიდა. დავრჩი საარსებო წყაროს გარეშე. ბევრი აღარ მიფიქრია და „ინტელექტში“ ბიზნესგანაცხადი არა არსებული ბიზნესის გაფართოებაზე, არამედ ახალის დასაწყებად შევიტანე.

კონკურსი წარმატებით გავიარე, დამაფინანსეს. შევისყიდეთ დანადგარები, არასტაციონარული პურის საცხობი, რომელიც მუშაობს შეშაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაზზე გადაკეთება.

საცხობში ერთდროულად 260 პური ცხვება და დღე-ღამეში დაახლოებით 4000-დან 5000-მდე პური გამოდის. ცომის მოჭრა, დალაგება... ამ საქმეს მე და ჩემი ძმისშვილი ვაკეთებთ.

ჯერჯერობით ჩვენი პური 30 მარკეტში იყიდება, ასევე ვამარაგებთ ორ სასტუმროს და ერთ კაზინოს. ახლახან ერთი რესტორანიც დაგვემატა. მომხმარებლები ჩვენი მიწოდებული პურით და მომსახურებით ძალიან კმაყოფილი არიან. ამ სფეროში რვაწლიანი გამოცდილება მაქვს.

ადრე ყველაფერი ნაქირავები მქონდა, ახლა კი მხოლოდ ფართობს ვქირაობ, შესაბამისად, შემოსავალიც გაიზარდა.

სურვილი მაქვს, ერთი პატარა ღუმელი კიდევ დავამატო, ალბათ რამდენიმე ადამიანსაც დავასაქმებ. შრომით მიგრანტებს სტაჟიორად მივიღებ, ისწავლიან, თანაც კარგად გადავუხდი.

რომ არა ეს პროექტი, უმუშევრად დარჩენილს კიდევ უცხოეთში სამუშაოდ წასვლა მომიწევდა. ჩემთვის ეს ბიზნესი ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მინდა ყველა ეკოლოგიურ თუ შრომით მიგრანტს ვუთხრა, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ პროექტით – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ შანსი მოგვცა, ჩვენი იდეა ბიზნესად ვაქციოთ. გამოიყენეთ ეს შანსი თქვენც!